ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4697636

ნომერი: AR1705989

თარიღი : 12.09.2019

გაცემის თარიღი : 03.10.2019

გაცნობის თარიღი : 03.10.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ბეშენოვას ქუჩა N 18; ქალაქი თბილისი, ბეშენოვას ქუჩა N 18ა; ქალაქი თბილისი, ბეშენოვას ქუჩა N 20;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზაზა ოხანაშვილი პ/ნ 01030043420
- თბილისი ს.ქურდიანის ქ. N 39

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 06 აგვისტოს №4619174 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019

წლის 12 სექტემბერს №AR1705989 განცხადებით მომართა ზაზა ოხანაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2019 წლის 06 აგვისტოს №4619174 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2019 წლის 25 ივნისის №4561098 ბრძანებით შეთანხმდა ქალაქ თბილისში, თბილისის ზღვა, (ნაკვეთი 1/175), შპს "ენჯი და კომპანია"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.12.21.001.201; №01.12.21.001.200; №01.12.21.001.179) არსებული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციის (სასტუმრო, რესტორანი, კაფე, გამაჯანსაღებელი ცენტრი) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.
სამსახურის 2019 წლის 06 აგვისტოს №4619174 ბრძანებით ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: №01.12.21.001.201; №01.12.21.001.200; №01.12.21.001.179) გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 06 აგვისტოდან 2021 წლის 06 თებერვლის ჩათვლით.
წარმოდგენილი განცხადებით განმცხადებელი ითხოვს, რომ სამსახურის 2019 წლის 06 აგვისტოს №4619174 ბრძანებაში, კერძოდ მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი-ს ველში №01.12.21.001.201 და №01.12.21.001.200 საკადასტრო ერთეულთან ერთად დაფიქსირდეს №01.12.21.001.179 საკადასტრო ერთეული.
საპროექტო დიკუმენტაციის გადამოწმების შედეგად, სამსახურმა დაადგინა, რომ 2019 წლის 25 ივლისის №AR1690339 განცხადებით მოთხოვნილ იქნა ქალაქ თბილისში, თბილისის ზღვა, (ნაკვეთი 1/175), შპს "ენჯი და კომპანია"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.12.21.001.201; №01.12.21.001.200; №01.12.21.001.179) მშენებლობის ნებართვის მიღება. სამსახურმა იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და 2019 წლის 06 აგვისტოს №4619174 ბრძანებით ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე გაიცა მშენებლობის ნებართვა. სამსახურმა ასევე დაადგინა, რომ აღნიშნული ბრძანების სარეზოლუციო ნაწილში დაფიქსირებულია სამივე საკადასტრო ერთეული (№01.12.21.001.201; №01.12.21.001.200 და №01.12.21.001.179).
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 06 აგვისტოს №4619174 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს ზაზა ოხანაშვილის 2019 წლის 12 სექტემბრის №AR1705989 განცხადება.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 06 აგვისტოს №4619174 ბრძანებაში, კერძოდ მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ის ველს დაემატოს საკადასტრო კოდი: №01.12.21.001.179.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 06 აგვისტოს №4619174 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 06 აგვისტოს №4619174 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.